პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები

1. **პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები;**

- პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ემერეტუსი; განსაკუთრებულ შემთხვევებში, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამას შეიძლება ჰყავდეს რამოდენიმე ხელმძღვანელი თუკი პროგრამა არის დარგთაშორისი (ინტერდისციპლინარული), ან პროგრამას გააჩნია სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების მოდულები.

- პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის აუცილებლობა.

- პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე და სილაბუსების ხარისხზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პასუხისმგებელია მის მიერ წაკითხული აკადემიური კურსის სილაბუსის ხარისხზე.

- პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

- პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: კოორდინირება გაუწიოს სტუდენტებისათვის კურიკულუმის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

- სწავლების ერთ საფეხურზე (საბაკალავრო (დამატებითი), სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის) ერთმა და იმავე პირმა არ შეიძლება უხელმძღვანელოს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას.

- უცხოენოვანი პროგრამები უცხოენოვანი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პროგრამას უნდა დაერთოს საერთაშორისო ხელშეკრულება ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.

- პროგრამის ხელმძღვანელი არის უსდ-ს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სამეცნიერო ნაშრომებით/საშემსრულებლო შემოქმედებითი საქმიანობით;

- პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში და მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში.
- პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან და ფაკულტეტის დეკანთან ერთად დაესწროს ლექციებზე მის მიერ გაწერილი განრიგის მიხედვით. (პროგრამის სწავლის შედგების შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით).